<u>პროექტი</u>

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2019 წლის --- ქ. თბილისი

ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული დადგენილება - „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობები“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ–მინისტრი **გიორგი გახარია**

ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების (შემდგომში - ნერგები) ბაზარზე განთავსების პირობები (შემდგომში - წესი) არეგულირებს ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალის და ნერგების იმ გვარებსა და სახეობებზე, რომელიც განსაზღვრულია „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N411 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხაში. აღნიშნული წესი ვრცელდება, ასევე სხვა სახეობებსა და მათ ჰიბრიდებზეც, თუ განხორციელდება ნუსხაში მითითებული სახეობებისა და მათი ჰიბრიდების გასამრავლებელი მასალების მათზე დამყნობა.

3. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) ექსპორტისთვის განკუთვნილი ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელ მასალასა და ნერგებზე;

ბ) საცდელი, სამეცნიერო-კვლევითი, სელექციური, ან გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის განკუთვნილ ხეხილოვანი კულტურების მასალაზე ან ნერგებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა - თესლები და ყველა მცენარეულ მასალა, მცენარეების ნაწილები, მათ შორის საძირეები, რომელიც გამიზნულია ხეხილოვანი კულტურების გამრავლებისა და წარმოებისთვის;

ბ) ნერგები - ხილის წარმოებისთვის განკუთვნილი მცენარეები, რომელიც გამიზნულია მათი ბაზარზე განთავსების შემდეგ დასარგავად, ან გადასარგავად;

გ) ჯიში - ბოტანიკური ტაქსონომიის ფარგლებში არსებული უდაბლესი რანგის მცენარეთა ჯგუფი, ან ხაზი, რომელიც:

გ.ა) განსაზღვრულია მოცემული გენოტიპის ან კომბინირებული გენოტიპების ნიშან-თვისებების გამომჟღავნების შედეგად;

გ.ბ) განსხვავდება სხვა ნებისმიერი მცენარეთა ჯგუფისგან მითითებული ნიშან-თვისებებიდან სულ მცირე ერთი ნიშნის გამომჟღავნებით;

გ.გ) შეიძლება განხილული იყოს, როგორც ობიექტი, გამრავლება-კვლავწარმოების დროს მისი ნიშან-თვისებების უცვლელად შენარჩუნების თვალსაზრისით;

დ) კლონი - ცალკეული მცენარისგან მიღებული ვეგეტატიურად და გენეტიკურად ერთგვაროვანი მოდგმა-შტო;

ე) წინასაბაზისო მასალა - ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა, რომელიც:

ე.ა) მიღებული იქნა საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით, შესაბამისი ჰომოლოგიური მახასიათებლების მქონე ჯიშობრივი იდენტურობის შესანარჩუნებლად და დაავადებების პრევენციის მიზნით;

ე.ბ) გამიზნულია „საბაზისო მასალის“ ან „სერტიფიცირებული სარგავი მასალების“ წარმოებისთვის და არა უშუალოდ ხეხილოვანი კულტურების ნერგების წარმოებისთვის;

ე.გ) აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლში „წინასაბაზისო მასალისთვის“ განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე.დ) ინსპექტირების შედეგად დადგენილია, რომ აკმაყოფილებს ამ პუნქტში მითითებულ პირობებს;

ვ) „საბაზისო მასალა“ - ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა, რომელიც:

ვ.ა) მიღებული იქნა, პირდაპირ ან ცნობილი რაოდენობის ეტაპების შედეგად ვეგეტატიური გზით წინასაბაზისო მასალიდან, შესაბამისი ჰომოლოგიური მახასიათებლების მქონე ჯიშობრივი იდენტურობის შესანარჩუნებლად და დაავადებების პრევენციის მიზნით;

ვ.ბ) გამიზნულია სერტიფიცირებული მასალის წარმოებისთვის;

ვ.გ) აკმაყოფილებს საბაზისო მასალისადმი ამ წესის მე-3 მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;

ვ.დ) ინსპექტირების შედეგად დადგენილია, რომ აკმაყოფილებს ამ ქვეპუნქტში მითითებულ პირობებს.

ზ) „სერტიფიცირებული მასალა“:

ზ.ა) ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა, რომელიც:

ზ.ა.ა) მიღებული იქნა პირდაპირ ვეგეტატიური გზით საბაზისო მასალიდან ან წინასაბაზისო მასალიდან, ან თუ გამიზნულია გამოყენებული იყოს როგორც

საძირე - სერტიფიცირებული თესლების წარმოებისთვის საბაზისო ან სერტიფიცირებული საძირეებიდან;

ზ.ა.ბ) გამიზნულია ნერგების წარმოებისთვის;

ზ.ა.გ) აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლში სერტიფიცირებული მასალის წარმოებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ზ.ა.დ) ინსპექტირების შედეგად დადგენილია, რომ აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ზ.ა.ა“, „ზ.ა.ბ“ და „ზ.ა.გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ პირობებს;

ზ.ბ) ხეხილოვანი კულტურების ნერგები, რომელიც:

ზ.ბ.ა) მიღებული იქნა პირდაპირ „სერტიფიცირებული“, „საბაზისო“ ან ‘წინასაბაზისო“ გასამრავლებელი მასალიდან;

ზ.ბ.ბ) გამიზნულია ხილის წარმოებისთვის;

ზ.ბ.გ) აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლში სერტიფიცირებული მასალის წარმოებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ზ.ბ.დ) ინსპექტირების შედეგად დადგენილია, რომ აკმაყოფილებს ამ ქვეპუნქტში მითითებულ პირობებს;

თ) CAC (*Conformitas Agraria Communitatis*) სტანდარტული მასალა - ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა და ნერგები, რომელსაც:

თ.ა) აქვს ჯიშური იდენტურობა და ადექვატური ჯიშური სიწმინდე;

თ.ბ) გამიზნულია ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალის წარმოებისთვის, ხეხილოვანი კულტურების მცენარის/ნერგის წარმოებისთვის და/ან ხილის წარმოებისთვის;

თ.გ) აკმაყოფილებს, ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ CAC მასალის მოთხოვნებს;

ი) მიმწოდებელი - პირი, რომლის პროფესიული საქმიანობა ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელ მასალასა ან ნერგებთან დაკავშირებით მოიცავს რეპროდუქციას, წარმოებას, შენახვას და/ან დამუშავებას, იმპორტირებას და ბაზარზე განთავსებას;

კ) ბაზარზე განთავსება - კომერციული მიზნებისათვის, მასალის სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, გაყიდვის მიზნით განთავსება და გასაყიდად შეთავაზება ან გადაცემის სხვა ფორმები გარდა მიწოდების ისეთი ფორმებისა, როგორიც არის კონტროლის ორგანოებისთვის გადაცემა, დამუშავებისა ან შეფუთვის მიზნით გადაცემა.

ლ) კრიტიკული წერტილი - ეტაპი, რომელზეც შესაძლებელია მასალაზე შიდა საწარმოო კონტროლის გამოყენება, ფიტოსანიტარიული რისკის თავიდან ასაცილებლად, ან აღმოსაფხვრელად.

მ) მოყვარული მომხმარებელი - მომხმარებელი, რომელიც აშენებს ან რგავს ხეხილოვანი კულტურების ნერგებს საკუთარი მოხმარების ან დეკორატიული მიზნით.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ნერგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა და ნერგები დასაშვებია განთავსდეს ბაზარზე თუ:

ა) ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა სერტიფიცირებულია, როგორც „წინასაბაზისო მასალა“, „საბაზისო მასალა“, ან „სერტიფიცირებული მასალა“, ან თუ კვალიფიცირებულია, როგორც CAC (სტანდარტული) მასალა;

ბ) ხეხილოვანი მცენარეები სერტიფიცირებულია, როგორც „სერტიფიცირებული მასალა“, ან თუ კვალიფიცირებულია, როგორც CAC (სტანდარტული) მასალა.

მუხლი 4. პირობები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მიმწოდებელმა

1. მიმწოდებელი, რომელიც ახორციელებს ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ნერგების ბაზარზე განთავსებას, ვალდებულია რეგისტრაცია გაიაროს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება მიმწოდებელზე, რომელიც ახორციელებს ხეხილის გასამრავლებელი მასალისა და ნერგების ბაზარზე განთავსებას მოყვარულ მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით.

3. „წინასაბაზისო“, „საბაზისო“, „სერტიფიცირებული“ მასალა, ისევე, როგორც CAC მასალა, ბაზარზე უნდა განთავსდეს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელმაც უნდა:

ა) გამოავლინოს და აკონტროლოს კრიტიკული წერტილები წარმოების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მასალის ხარისხზე;

ბ) იქონიოს ინფორმაცია შემოწმებისთვის განკუთვნილ მასალაზე;

გ) აუცილებლობის შემთხვევაში, აიღოს ნიმუშები ლაბორატორიაში შემოწმების მიზნით;

დ) უზრუნველყოს, რომ წარმოების დროს, ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალის პარტიები იყოს იდენტიფიცირებადი.

4. მიმწოდებელმა თავის საწარმოში მავნე ორგანიზმების გამოჩენის თაობაზე უნდა აცნობოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) და შეასრულოს მისი რეკომენდაციები გამოვლენილი მავნე ორგანიზმის აღმოსაფხვრელად.

5. მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს მის მიერ წარმოებული და რეალიზებული მასალების თაობაზე ჩანაწერები სულ მცირე 3 წლის განმავლობაში.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება მიმწოდებელზე, რომელიც ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ ექვემდებარება ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

მუხლი 5. ჯიშისადმი დაწესებული მოთხოვნები

1. ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელ მასალასა და ნერგებზე, ბაზარზე განთავსებისას, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ჯიში. საძირეების შემთხვევაში, როცა ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა არ მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ ჯიშს, მითითება უნდა გაკეთდეს მოცემულ სახეობაზე ან სახეობათაშორის ჰიბრიდზე.

2. ჯიში უნდა იყოს:

ა) სამართლებრივად დაცული საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით;

ბ) რეგისტრირებული ჯიშების ეროვნულ კატალოგში;

გ) საყოველთაოდ ცნობილი. ჯიში საყოველთაოდ ცნობილად ითვლება, თუ ის ოფიციალურად რეგისტრირებულია, ან გაკეთებულია განაცხადი მისი ოფიციალურად რეგისტრაციისათვის.

3. ზრდის დროს და დედა მასალიდან აღების დროს, ხეხილოვანი

კულტურების გასამრავლებელი მასალა და ნერგები უნდა ინახებოდეს ცალკე პარტიებში.

4. თუ სხვადასხვა წარმოშობის ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალა და ნერგები ერთად იქნება ან აირევა შეფუთვის, შენახვის, ტრანსპორტირების ან მიწოდების დროს, მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ჩანაწერები, მათ შორის პარტიის შემადგენლობისა და მისი ინდივიდუალური კომპონენტების წარმოშობის შესახებ.

მუხლი 6. რეალიზაციასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ნერგების რეალიზაცია უნდა მოხდეს მხოლოდ ერთგვაროვანი პარტიებით, და თუ ისინი:

ა) კვალიფიცირებულია როგორც CAC მასალა და თან მიმწოდებლის მიერ მომზადებული დოკუმენტი. თუ ამ დოკუმენტზე წარმოდგენილია ოფიციალური განცხადება, ის ნათლად უნდა იყოს გამოყოფილი ამ დოკუმენტზე არსებული სხვა ინფორმაციისგან; ან

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებულია, როგორც „წინასაბაზისო“, „საბაზისო“, ან „სერტიფიცირებული მასალა“.

2. მოყვარული მომხმარებლისთვის ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალის ან ნერგების საცალო მიწოდების შემთხვევაში, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები შეიძლება შემოიფარგლოს სათანადო პროდუქტის შესახებ ინფორმაციით.

მუხლი 7. სახელმწიფო კონტროლი

ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ნერგების ბაზარზე განთავსებისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

განმარტებითი ბარათი

„ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილების წარმოდგენილი პროექტი არგულირებს ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის, თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის თავი 4, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები,დანართი XI ბ).

პროექტის მოქმედება ვრცელდება, ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალის და ნერგების იმ გვარებსა და სახეობებზე, რომელიც განსაზღვრულია „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N411 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხაში. ასევე, ვრცელდება, სხვა სახეობებსა და მათ ჰიბრიდებზეც, თუ განხორციელდება ნუსხაში მითითებული სახეობებისა და მათი ჰიბრიდების გასამრავლებელი მასალების მათზე დამყნობა. ხოლო, არ ვრცელდება ექსპორტისთვის განკუთვნილი ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელ მასალასა და ნერგებზე და საცდელი, სამეცნიერო-კვლევითი, სელექციური, ან გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის განკუთვნილ ხეხილოვანი კულტურების მასალაზე ან ნერგებზე.

პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ნერგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რეალიზაციასთან და ეტიკეტირებასთან

დაკავშირებული მოთხოვნები, ჯიშისადმი დაწესებული მოთხოვნები და პირობები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მიმწოდებელმა.

პროექტის თანახმად, ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ნერგების ბაზარზე განთავსებისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი შემუშავებულია, „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალით და ხილის წარმოებისათვის განკუთვნილი ნერგებით ვაჭრობის შესახებ“ საბჭოს 2008 წლის 29 სექტემბრის N2008-90EC დირექტივის შესაბამისად.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღებით მოხდება, ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.